საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 1309

თბილისი „23“ 10 2019 წ.

ზოგიერთ საჯარო სკოლაში არდადეგების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, „საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დასრულებისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 03 სექტემბრის N84/ნ ბრძანების 5^2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 23 ოქტომბრის N1436642 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ ზოგიერთ საჯარო სკოლაში განისაზღვროს არდადეგები 2019 წლის 26 ოქტომბრიდან 2019 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) ამ ბრძანების გაცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის-საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის.
3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

სკოლა	კლასები, რომლებშიც შეჩერდება სასწავლო პროცესი
სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	V3 კლასი და VI- XII კლასები (რუსთაველის ქ. N127)
სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა	V-XII კლასები
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუგდიდის N2 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ქალაქ თელავის N8 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლა	I-XII კლასები
სსიპ ქალაქ ოზურგეთის N2 საჯარო სკოლა	I-XII კლასები